დანართი No.1.

NATIONAL CENTER FOR
EDUCATIONAL QUALITY
ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა

სსიპ, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი: 16/05/2023

დასკვნის წარდგენის თარიღი: 19/06/2023

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ..... Error! Bookmark not defined.

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა..... Error! Bookmark not defined.

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან..... Error! Bookmark not defined.

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა..... Error! Bookmark not defined.

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა ..... Error! Bookmark not defined.

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობاError! Bookmark not defined.

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა ..... Error! Bookmark not defined.

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები Error! Bookmark not defined.

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ [1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ-სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	424066977
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ჰანდკე სტეფანი (პროფ. დოქტორი) HTW დრეზდენის გამოყენებითი მეცნიერებათა უნივერსიტეტი, გერმანია
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	დავითაშვილი ნინო, დეცენტრალიზაციისა და ადგილობრივი მმართველობის პროგრამის ხელმძღვანელი, UNICEF საქართველოს სოციალური პოლიტიკის ოფიცერი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ფარსადანიშვილი, ნინო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიგრაციის კომპეტენციის ცენტრის ხელმძღვანელი, საქართველო.
წევრი (სახელი, გვარი, უსდორგანიზაცია/ქვეყანა)	პატარაია ნინო, შპს - ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ზაგაშვილი ლიანა, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის უნივერსიტეტი, საქართველო

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ქართულად)	საჯარო მმართველობა
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ინგლისურად)	Public Administration
უმაღლესი განათლების საფეხური	I
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	საჯარო მმართველობის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება[3]	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	პირობით აკრედიტებული №782156; 08/07/2022
პროგრამაზე დაშვების დამატებითი მოთხოვნები (სამხატვრო- შემოქმედებითი და/ან სპორტული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, შემოქმედებითი ტურის/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაში დაშვების/პროგრამის განხორციელების სპეციფიკური მოთხოვნები.)	-

[2]თუ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად და მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება განსხვავდება, იგი მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულების მიხედვით.
[3](მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**[4]

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობის“ საბაკალავრო აკადემიური პროგრამა აკრედიტირებულია აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 13 სექტემბრის N379 დადგენილების საფუძველზე და მას შემდეგ იგი უწყვეტად ხორციელდება.

2012 წლიდან პროგრამაში გათვალისწინებული იყო ექსპერტების ყველა რეკომენდაცია, რის საფუძველზეც მოხდა პროგრამის მოდიფიცირება. სავალდებულო და დამატებითი სასწავლო რესურსი რეგულარულად ახლდებოდა. ინოვაციები და აკადემიური კურსის სილაბუსები მარეგულირებელი დოკუმენტების შესაბამისად გარკვეული ინტერვალებით იყო ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამაში. საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა 2021 წლის დეკემბერში ხელახალი აკრედიტაციისთვის წარადგინეს. აკრედიტაციის საბჭოს 08.07.2022 წლის №782156 დადგენილების საფუძველზე პროგრამას მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია.

პროგრამის მიზნები ასახავს პროგრამის კურსდამთავრებულთა მიერ შეძენილ ცოდნას, შესაძლებლობებსა და კომპეტენციებს და საჯარო მმართველობისა და საჯარო განვითარების სფეროში შეტანილ წვლილს.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

უნივერსიტეტისა და საჯარო მმართველობის პროგრამის შეფასება მოხდა ყოვლისმომცველი და დეტალური დოკუმენტაციის საფუძველზე. ადგილზე ვიზიტის დროს 2023 წლის 16 მაისს, გასაუბრება ჩატარდა უნივერსიტეტის ყველა სტატუს ჯგუფთან, კურსდამთავრებულებთან და პროფესიული პრაქტიკის მომწოდებელი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან . ინტენსიური დისკუსიები პასუხობდა ექსპერტთა ჯგუფის ყველა ღია კითხვას და გვაწვდიდა დამაჯერებელ პასუხებს.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

წინა აკრედიტაციის შემდეგ ჩატარებული ცვლილებების საფუძველზე, საბაკალავრო პროგრამა აკმაყოფილებს საჯარო მმართველობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის საუნივერსიტეტო დონის პროგრამის მოთხოვნებს. ხარისხის ყველა სტანდარტი სრულად დაკმაყოფილებულია.

სტანდარტი 1: შესაბამისობაშია
სტანდარტი 2: შესაბამისობაშია
სტანდარტი 3: შესაბამისობაშია
სტანდარტი 4: შესაბამისობაშია
სტანდარტი 5: შესაბამისობაშია

[4]პროგრამებთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი

- **რეკომენდაციები**
    - არ არის მითითებული
- **რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:**
    - უსდ-მ უფრო დეტალურად უნდა შეიმუშაოს და სამაგალითოდ აჩვენოს, საჯარო მმართველობაში კონკრეტულად რომელ კარიერასა და საჯარო სამსახურის რომელ საფეხურს პასუხობს წინადებარე პროგრამა.
    - იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამა სტუდენტებს ამზადებს საჯარო სამსახურისთვის, ის უნდა მოიცავდეს უფრო მეტ პრაქტიკულ გამოცდილებას, ვიდრე მხოლოდ 10 კრედიტის ექვივალენტურს.
    - სასწავლო გეგმაში უნდა გაძლიერდეს დიგიტალიზაციისა და ციფრული ტრანსფორმაციის თემები და შესაბამისი კომპეტენციები.
    - სასურველია, მიიღოთ პროაქტიული ზომები, რათა გაზარდოთ დოქტორის ხარისხის მქონე პირთა რაოდენობა შესაბამის სწავლის სფეროში.
    - სასურველია, პროგრამის ხელმძღვანელმა რეგულარულად შეამოწმოს არსებული რეალობა სფეროში , რათა შეაფასოს საჯარო მმართველობის რეფორმის პროგრესი და მუნიციპალიტეტის რეალური მოთხოვნები სამუშაო ძალისისა და მომსახურების პროვაიდერების თვალსაზრისით.
    - სასურველია პერსონალის წახალისება, რათა მათ მონაწილეობა მიიღონ საჯარო მმართველობის კონფერენციებში.
    - პერსონალს შორის აკადემიური ჩართულობისა და ცოდნის გავრცელების კულტურის გასაძლიერებლად, გირჩევთ რომ უნივერსიტეტმა განიხილოს საჯარო მმართველობის კვლევის ცენტრის შექმნა, ბავშვთა უფლებების ცენტრის მსგავსად.
    - სერიოზულად გირჩევთ, გააძლიეროთ და გააუმჯობესოთ უნივერსიტეტის პერსონალისთვის მიწოდებული სოციალური გარანტიები.
    - უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტმა უნდა გააგრძელოს აქტიური თანამშრომლობა აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან, ინტერნაციონალიზაციის ძალისხმევის გასაძლიერებლად.
    -

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[5]**

პროგრამა უზრუნველყოფს იმ პროფესიულ მომზადებას, რაც აუცილებელია ამ რეგიონში საჯარო მმართველობის პერსონალისთვის. პროგრამის ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი მახასიათებელია მისი წვლილი დემოკრატიული სტრუქტურის ჩამოყალიბებაში. გარდა ამისა, პროგრამას შეაქვს ფასდაუდებელი წვლილი რეგიონში სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების ინტეგრაციის კუთხით.

- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

სსიპ – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოგვაწოდა ინფორმაცია, რომ აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე წარმოადგენს არგუმენტირებულ პოზიციას „საჯარო მმართველობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე. ამ წერილის შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი, ყოველგვარი ცვლილების გარეშე, წარმოადგენს საბოლოო დასკვნას.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

უნივერსიტეტმა ცვლილებები შეიტანა სასწავლო გეგმასა და პროგრამის სტრუქტურაში. ცვლილებების განხორციელებისას გაითვალისწინეს წინა აკრედიტაციის მოთხოვნები და გააძლიერეს პროგრამის, როგორც აკადემიური ხარისხის პროგრამის პროფილი და უფრო მკაფიო გახადეს აქცენტირება საჯარო მმართველობაზე.

[5]პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის/პროგრამებისთვის

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საჯარო მმართველობის საბაკალავრო აკადემიური პროგრამა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში (უსდ) ხორციელდება 2012 წლიდან და ბოლოს პირობითი აკრედიტაცია 2022 წელს მიენიჭა. უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიშის (SER) მიხედვით, პროგრამამ უნდა მოამზადოს მაღალკონკურენტუნარიანი და კვალიფიციური სპეციალისტი, საჯარო მმართველობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხით. ამრიგად, სტუდენტები შეიძენენ:

- საჯარო მმართველობის ძირითადი პრინციპების, პროცესების, თეორიებისა და პოლიტიკის შესახებ ფართო ცოდნას;
- ორგანიზაციული ოპერაციების დაგეგმვისა და მართვის კომპეტენციებს, შესაბამისი სივრცის სამართლებრივი რეგულირებისა და პროფესიული ეთიკის ნორმების ანალიზის უნარს და საჯარო მმართველობის სფეროში მიმდინარე მოვლენებსა და პროცესებზე ზოგადი დასკვნების გასაკეთებლად შეფასების განხორციელების კომპეტენციებს;
- დამოუკიდებელი აზროვნების, ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის, შემოქმედებითი და პრაქტიკული მუშაობის, ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის, კრიტიკული აზროვნების, ანალიზის, კომენტირებისა და ინტერპრეტაციის უნარებს, რაც აუცილებელია საჯარო მმართველობაში პროფესიული კარიერისათვის;
- ტრანსფერულ უნარებს დარგობრივ უნარებთან ერთად, რაც დაეხმარება ეროვნული და ზოგადი იდეების ჩამოყალიბებაში, ისწავლის რა საჯარო მმართველობისა და მომიჯნავე დარგებს, წვლილს შეიტანს საჯარო მმართველობისა და საზოგადოების განვითარებაში, ასევე შეიქმნის სწავლის გაგრძელებისა და კვლევის წინაპირობებს უმაღლესი განათლების მომდევნო საფეხურზე - მაგისტრატურაზე.

მიზნების აღწერა მჭიდრო კავშირშია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ზოგად დოკუმენტებთან, როგორიცაა მისიის განაცხადი და შინაგანაწესები. გარდა ამისა, მითითებულია ეროვნული რეგულაციები და კლასიფიკატორები. ექსპერტთა ჯგუფი აღიარებს რომ ზუსტად არის ჩამოყალიბებული ზოგადი კომპეტენციები, რომლებიც შეესაბამება საჯარო სექტორს. იმავდროულად, პროგრამის აღწერისას თვითშეფასების ანგარიშში ნაკლებად არის ყურადღება გამახვილებული საჯარო მმართველობაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ მიზნები შესაძლოა შეესაბამებოდეს ნებისმიერ სხვა სფეროსაც. თუმცა, უსდ-სთან გასაუბრებამ მოგვცა შესაძლებლობა უფრო მკაფიო ინფორმაცია მიგვეღო პროგრამის მიზნებზე. ამ ყოველივეს გათვალისწინებით, შემდგომი განვითარებისთვის კარგი იქნება, თუკი პროგრამის მიზნებში მეტი ინფორმაცია იქნება საჯარო მმართველობის სფეროზე, მაგალითად ადგილობრივი, რეგიონული ან სახელმწიფო მმართველობა. გარდა ამისა, კავშირი უნდა არსებობდეს მიღწეულ კომპეტენციებსა და საჯარო სამსახურის ფარგლებში არსებულ კარიერულ საფეხურებთან.

გარდა ამ მცირე გასაუმჯობესებელი მხარეებისა, უსდ გვაწვდის პროგრამას, რომელსაც აქვს ფასდაუდებელი გავლენა რეგიონში, საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფთა ინტეგრაციაზე. სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების, განსაკუთრებით სომეხი ეროვნების მქონე პირთა მომზადება ხდება საჯარო სამსახურისთვის, რაც საქართველოს სახელმწიფოს განუყოფელი ნაწილია. არაქართულენოვანი მოქალაქეებისთვის პროფესიული ქართული ენის, სამართლისა და პოლიტიკური სისტემის სწავლება, უმცირესობებს აქტიური ჩართულობის შესაძლებლობას აძლევს.

მტკიცებულება/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- მისიის განაცხადი.
- უსდ-ს ვებგვერდი
- გასაუბრება ადგილზე ვიზიტის დროს

რეკომენდაციები

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- უსდ-მ უფრო დეტალურად უნდა შეიმუშაოს და სამაგალითოდ აჩვენოს, საჯარო მმართველობაში კონკრეტულად რომელ კარიერასა და საჯარო სამსახურის რომელ საფეხურს პასუხობს წინადებარე პროგრამა.

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ შეესაბამება მოთხოვნებს**
1.1 პროგრამის მიზნები	☒	☐	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები:

➢ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.

➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა მოიცავს კომპეტენციების ფართო სპექტრს და სწავლის შედეგებს. ეს მოიცავს სოციალური მეცნიერებების, სამართლის, მენეჯმენტის, პოლიტიკის ან ეკონომიკის ასპექტებს. სტუდენტები იღებენ ცოდნას კონკრეტული აკადემიური დისციპლინების შესახებ, თუმცა თავისი არსით ეს პროგრამა არის მკაცრად ინტერდისციპლინარული პროგრამა. აქედან გამომდინარე, კურსდამთავრებულები არა მხოლოდ საჯარო სამსახურისთვის არიან კვალიფიციური კადრები, არამედ მათ შეუძლიათ სამუშაოს პოვნა არასამთავრობო ორგანიზაციებში, არაკომერციულ ორგანიზაციებში ან ბიზნეს საწარმოებში. იმავდროულად, უნივერსიტეტი და ჩარიცხული სტუდენტები ხაზს უსვამენ, რომ პროგრამა, პირველ რიგში, უნდა უზრუნველყოფდეს საჯარო სამსახურის კვალიფიკაციას. კურსდამთავრებულებს უნდა მიეცეთ საშუალება იმუშაონ მუნიციპალიტეტებსა და ადგილობრივ თვითმმართველობებში. გარდა ამისა, კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროები შესაძლოა იყოს სამინისტროები და სხვა სახელმწიფო უწყებები. ფართო პერსპექტივა და მრავალფეროვანი კომპეტენციები, რომლებსაც სტუდენტები სწავლის პერიოდში იძენენ, საშუალებას აძლევს მათ შეასრულონ სხვადასხვა ამოცანები საჯარო სექტორში. თუმცა, საჯარო დაწესებულებებში მუშაობა უფრო მეტ პრაქტიკულ მომზადებას და გამოცდილებას მოითხოვს, ვიდრე ეს პროგრამით არის გათვალისწინებული. ვინაიდან, 8 სემესტრის განმავლობაში, არსებობს მხოლოდ 10 კრედიტის მოცულობის პრაქტიკული კომპონენტი, სტუდენტებს შესაძლოა ჰქონდეთ საჯარო მმართველობის ძირითად თანამდებობებზე დაუყოვნებლივ დასაქმებისთვის საჭირო პრაქტიკული კომპეტენციების ნაკლებობა. ამის ფონზე, უსდ-ს მოვუწოდებთ, მნიშვნელოვნად გაზარდოს პრაქტიკული კომპონენტი და ამ მიზნით, პროცესში ჩართოს ადგილობრივი და რეგიონული საჯარო დაწესებულებები.

მტკიცებულება/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- მისიის განაცხადი.
- გასაუბრება ადგილზე ვიზიტის დროს

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

- იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამა სტუდენტებს ამზადებს საჯარო სამსახურისთვის, ის უნდა მოიცავდეს უფრო მეტ პრაქტიკულ გამოცდილებას, ვიდრე მხოლოდ 10 კრედიტის ექვივალენტურს.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები:	☒	☐	☐	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- ➢ ➢ განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშში უსდ დეტალურად აღწერს ხარისხის შიდა უზრუნველყოფის ზომებსა და ინსტრუმენტებს. უნივერსიტეტის ხარისხის მართვის ოფიცრებთან დისკუსიის დროს შეგროვებულმა დამატებითმა ინფორმაციამ გვაჩვენა, რომ ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების გამოკითხვები და სტატისტიკური შეფასებები. „საჯარო მმართველობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები შემუშავებულია და რეგულირდება უნივერსიტეტის შესაბამისი დოკუმენტებით. უსდ-ს აქვს სწავლის შედეგების შეფასების სათანადო მექანიზმები, მისი რეგულაციებისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

სწავლის შედეგების შეფასების სისტემა ითვალისწინებს საჯარო მმართველობის სფეროს სპეციფიკას და მოიცავს შეფასების შესაბამის ფორმებსა და მეთოდებს, რომლებიც საშუალებას იძლევა განისაზღვროს რამდენად მიაღწიეს სტუდენტებმა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებს.

უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის დონეზე, მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზისთვის, ხარისხის უზრუნველყოფის ოფისი და საბჭოები ეყრდნობიან შესაბამის პროტოკოლებს. შეფასების ჯგუფი სწორად არის სტრუქტურირებული, წევრები ასრულებენ სხვადასხვა როლს. ეს იძლევა ხარისხის უზრუნველყოფისა და პროცესის ყველა ასპექტის განხილვის შესაძლებლობას, ყველა გადმოსახედიდან. მეთოდი, რომელიც ხშირად იყენებს როგორც პირდაპირ, ისე ირიბ მექანიზმებს, საკმაოდ ეფექტურია. უკუკავშირის მექანიზმები არის ადეკვატური და პროფესიონალურად შემუშავებული.

სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება სწავლის შედეგების შეფასების როგორც პირდაპირი, ისე ირიბი მეთოდებით. სწავლის შედეგები ფასდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, წინასწარ განსაზღვრული ადეკვატური პერიოდულობით. პირდაპირი შეფასებისას გამოიყენება: გამოცდის შედეგების შეფასება თითოეულ სასწავლო კურსზე, პრაქტიკული შეფასება და ა.შ. არაპირდაპირი შეფასებისას: პროგრამის ხელმძღვანელის დაკვირვება, დამსაქმებელთა გამოკითხვა, კურსდამთავრებულთა და სტუდენტების გამოკითხვა.

ამ მიზნით, თითოეული საგანმანათლებლო პროგრამისთვის შემუშავდა ინდივიდუალური რუკები, სადაც ნაჩვენებია პროგრამის მიზნებისა და წარმოდგენილი პროგრამების სწავლის შედეგების თავსებადობის ანალიზი, სასწავლო გეგმებში შემავალი სასწავლო კურსების შესაბამისობა სწავლის შედეგებთან და სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამამ დაადგინა სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისთვის. სწავლის შედეგების შეფასებას ყოველთვის მოჰყვება ანალიზის პროცესი და შესაბამისი რეაგირება. თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნული იყო და გარკვეულწილად გასაუბრების დროსაც დადასტურდა, რომ ყველა დაინტერესებული მხარე იყო ინფორმირებული და ჩართული შეფასების პროცედურებში. სტუდენტების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ პროცესის შესახებ ინფორმირებული იყვნენ და რომ ეს პროცესი მათთვის გასაგებია.

უნივერსიტეტი პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზს ყველა დაინტერესებული მხარისთვის ხელმისაწვდომს ხდის.. სწავლისა და სამეცნიერო კვლევითი კომპონენტების სწავლის შედეგები ფასდება თანმიმდევრულად. სათანადოდ არის გათვალისწინებული სწავლის სფეროს სპეციფიკური ასპექტები და განათლების დონე. შეფასების ფორმები და მეთოდები, როგორც პირდაპირი, ასევე ირიბი, გამართულია. სწავლის შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამების გასაუმჯობესებლად.

ექსპერტების შთაბეჭდილებით, უკუკავშირს სერიოზულად უდგებიან და უნივერსიტეტის სასწავლო პერსონალისთვის ის მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს, რომ ცვლილებები შეიტანონ კურსის შინაარსსა და სასწავლო ფორმატში.

მტკიცებულება/ინდიკატორები

- საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა, პროგრამის სწავლის შედეგები
- სასწავლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებლის მოთხოვნების ანალიზი
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები.
- სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გამოკითხვის შედეგები;
- სტუდენტების/ კურსდამთავრებულების/ დამსაქმებლების/პერსონალის გამოკითხვის ფორმები/შედეგები და ინფორმაცია მათი გამოყენების შესახებ;
- თვითშეფასების ანგარიში
- გასაუბრებების შედეგები

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ შეესაბამება მოთხოვნებს**
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	☒	☐	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ზოგადად, პროგრამა ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ეროვნული რეგულაციების შესაბამისად. პროგრამა კარგად არის შემუშავებული, როგორც უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის პროგრამა, სადაც სტუდენტები იძენენ ცოდნას და კომპეტენციებს ინტერდისციპლინური გზით. ბოლო აკრედიტაციის შემდეგ უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებაში პროგრამის სტრუქტურაში შეიტანა გარკვეული ცვლილებები , რომლებიც აკრედიტაციის საბჭოს მიერ იყო რეკომენდებული. არსებული სტრუქტურა სტატუს კვო-სთან შედარებით აღწერილია უმაღლესი სასწავლებლის მიერ შემდეგნაირად (იხ. თვითშეფასების ანგარიში გვ. 4f):

საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა			
2021 წლისთვის წარმოდგენილი პროგრამის სტრუქტურა		2023 წლისთვის წარმოდგენილი პროგრამის სტრუქტურა	
თავისუფალი სავალდებულო კომპონენტი	50 კრედიტი	სავალდებულო სასწავლო კურსების თავისუფალი კომპონენტები	45 კრედიტი
თავისუფალი არჩევითი კომპონენტი	20 კრედიტი არჩევითი	თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები	20 კრედიტი
		საჯარო მმართველობის მოდულის სავალდებულო კურსები	**50 კრედიტი**
ძირითადი სასწავლო დარგი - საჯარო სამართლის მოდული	**60 კრედიტი** (50 სავალდებულო კრედიტი 10 კრედიტი არჩევითი)	საჯარო სამართლის სავალდებულო კურსები	41 კრედიტი
ძირითადი სასწავლო დარგი - ეკონომიკისა და ბიზნესის მოდული	**60 კრედიტი** (50 სავალდებულო კრედიტი 10 კრედიტი არჩევითი)	მენეჯმენტისა და ადმინისტრაციის მოდულის სავალდებულო აკადემიური კურსები	35 კრედიტი
ძირითადი სასწავლო დარგი - სოციალურ-პოლიტიკური მეცნიერებები	**40 კრედიტი** (30 სავალდებულო კრედიტი 10 კრედიტი არჩევითი)	სოციალური მეცნიერებების მოდულის სავალდებულო აკადემიური კურსები	29 კრედიტი

ძირითადი სასწავლო დარგი - პრაქტიკული კომპონენტი	10 კრედიტი	ძირითადი სასწავლო დარგი - პრაქტიკა	10 კრედიტი
		ძირითადი სასწავლო დარგის არჩევითი კურსები	10 კრედიტი
	240 კრედიტი		**240 კრედიტი**

მოდულების კლასტერები მოიცავს სხვადასხვა სამართლებრივ, ეკონომიკურ და სოციალურ-მეცნიერულ თემებს, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს გააანალიზონ საჯარო მმართველობის როლი სახელმწიფოში როგორც ზოგადად, ისე კონკრეტულად საქართველოს პოლიტიკურ სისტემაში. გარდა ამისა, კურსდამთავრებულებს აქვთ ცოდნა და კომპეტენციები, შეასრულონ აქტიური როლი საჯარო ორგანიზაციებში. თუმცა, ზოგიერთი მიმდინარე ტენდენცია, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს მომავალ საჯარო მოხელეზე, ჯერ კიდევ არ ჩანს პროგრამაში. კერძოდ, საჯარო სექტორის დიგიტალიზაციას და ციფრულ ტრანსფორმაციას მზარდი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო ჭრილში. მუნიციპალურ საჯარო ადმინისტრირებაზე ფოკუსირების შემთხვევაშიც კი, სასწავლო გეგმაში ეს თემები და შესაბამისი კომპეტენციები უნდა გაძლიერდეს .

ექსპერტთა ჯგუფის აზრით, სასწავლო პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამების უნიკალურობას. განსაკუთრებით რეგიონული თავისებურებების გათვალისწინებით. გარდა ამისა, პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას, რომელიც ავლენს მკაფიო პროფილს ადმინისტრაციული მეცნიერების სფეროსთვის, მაგრამ ასევე პრაქტიკული საჯარო სამსახურისთვის. გარდა ამისა, მიღებული ცოდნა და კომპეტენციები, ადეკვატურად პასუხობს ინტერნაციონალიზაციის ცენტრალურ ასპექტებს. სტრუქტურული მოწყობა უზრუნველყოფს, რომ პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამებოდეს სტუდენტების მიერ მათი მიღწევის შესაძლებლობებს.

ადგილზე ვიზიტის დროს ექსპერტები დარწმუნდნენ, რომ უსდ-ში პროგრამის შემუშავება აღიქება, როგორც თანამშრომლობითი პროცესი, რომელშიც აქტიურად არიან ჩართული უნივერსიტეტის ყველა დაინტერესებული მხარე, განსაკუთრებით ლექტორები, მკვლევარები, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტის დირექტორებიც აცნობიერებენ პროგრამის მნიშვნელობას და უზრუნველყოფენ პროგრამის სათანადო ხილვადობას მისი გასაჯაროვებითა და პროგრამაზე ინფორმაციის გავრცელებით.

მტკიცებულება/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- სილაბუსები
- ინტერვიუები ადგილზე ვიზიტის დროს

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- სასწავლო გეგმაში უნდა გაძლიერდეს დიგიტალიზაციისა და ციფრული ტრანსფორმაციის თემები და შესაბამისი კომპეტენციები. ეს მოიცავს, მაგალითად, იმ შემთხვევების ანალიზს, როდესაც საჯარო დაწესებულება ანალოგურ პროცესებს გარდაქმნის ციფრულ პროცესებად და ასევე მოიცავს იმას, თუ რომელი სოციალურ-ტექნიკური მოთხოვნები უნდა დაკმაყოფილდეს ამ კონტექსტში. საზოგადოებაში და ადმინისტრაციულ ორგანიზაციაში ციფრული ტრანსფორმაციის შესახებ

ცოდნა და უნარები შეიძლება განთავსდეს ცალკეულ მოდულებში ან სხვადასხვა კურსების შემადგენელ თემად.

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ შეესაბამება მოთხოვნებს**
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	☒	☐	☐	☐

1.5. სასწავლო კურსი/საგანი

➢ სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

➢ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თითოეული კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კონკრეტული კურსის სწავლის შედეგებს. თავად სწავლის შედეგები დიფერენცირებულია სხვადასხვა კურსის ტიპების მიხედვით. თითოეულ კურსში შედის მოდულის წინაპირობები. კრედიტების რაოდენობა შეესაბამება კურსის გასავლელად საჭირო სამუშაოს მოცულობას. აქ 25 საათი უდრის 1 ECTS-ს.

ექსპერტთა ჯგუფის აზრით, სტრუქტურა და კურსის შინაარსი შემუშავებულია და განხორციელებულია უნივერსიტეტის ორგანოების მიერ, შიდა გაიდლაინების დაცვით. დოკუმენტებიდან და ადგილზე გამართული დისკუსიებიდან გამომდინარე, ეჭვგარეშეა, რომ ყურადღება გამახვილებულია აკადემიურ მიღწევებზე. სწავლებისა და სწავლის მეთოდები, ისევე როგორც გამოცდების ტიპი და მოცულობა, შემუშავებულია ისე რომ ეფუძნება კომპეტენციებს.

მოწოდებული ლიტერატურა საშუალებას აძლევს სტუდენტებს დამოუკიდებლად შეიძინონ საჯარო მმართველობის სფეროში მუშაობისთვის საჭირო ცოდნა და უნარ-ჩვევები. შესაბამისი ონლაინ რესურსების ხელმისაწვდომობა ასევე უზრუნველყოფილია უსდ-ს მიერ.

მტკიცებულება/ინდიკატორები

- o თვითშეფასების ანგარიში
- o სილაბუსები
- o გასაუბრება ადგილზე ვიზიტის დროს

რეკომენდაციები:

- o არ არის მითითებული

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- o არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.5. სასწავლო კურსი/საგანი	☒	☐	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამების მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ შეესაბამება მოთხოვნებს	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლა-სწავლების მეთოდები და სტუდენტის შეფასება ითვალისწინებს სასწავლო სფეროს სპეციფიკას, დონის მოთხოვნებს, სტუდენტის საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის სასწავლო გეგმა და პროგრამის თვითშეფასების ანგარიში მიუთითებს იმაზე, რომ პროგრამაზე მიღება დასაშვებია საქართველოსა და უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის. პროგრამაზე დასაშვებად საქართველოს მოქალაქეებს უნდა ჰქონდეთ შესაბამისი ეროვნული ორგანოს მიერ გაცემული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, ასევე უნდა ჩააბარონ ერთიანი ეროვნული გამოცდა. უნივერსიტეტში მიღების წინაპირობაა ერთიანი ეროვნული გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემდეგ, დადგენილ ვადაში ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლა. სომხურ, აზერბაიჯანულ, აფხაზური ან ოსურ ენებზე მოლაპარაკე საქართველოს ის მოქალაქეები, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ სომხურ და აზერბაიჯანულ, აფხაზურ ან ოსურ ენაზე უნარების გამოცდას ერთიან ეროვნულ გამოცდაზე, დაესწრებიან მოსამზადებელ საგანმანათლებლო პროგრამას (60 კრედიტი) და მიიღებენ შესაბამის სერთიფიკატებს, შეძლებენ საბაკალავრო პროგრამაზე სწავლას.

საბაკალავრო პროგრამაზე უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიღება ხდება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დებულების შესაბამისად. უცხო ქვეყნის მოქალაქეებს მოეთხოვებათ ქართული ენის ცოდნა B1+/B2 დონეზე, რადგან პროგრამაზე სწავლა მიმდინარეობს ქართულ ენაზე.

უცხო ქვეყნის მოქალაქეებმა უნდა წარმოადგინონ ქართული ენის საჭირო დონეზე ცოდნის დამადასტურებელი ცნობა ან ალტერნატიულად უნდა გაიარონ გასაუბრება ქართულ ენაზე. უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ სერტიფიკატის აღება შესაძლებელია სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების ცენტრში. პროგრამაზე სწავლის გაგრძელების უფლება აქვთ აგრეთვე საქართველოს და უცხოეთში აკრედიტებული სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებს. სტუდენტების მობილობით მიღება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები არის მკაფიო, გამჭვირვალე და შეესაბამება საქართველოს შესაბამის საკანონმდებლო ბაზას. აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებულმა ინტერვიუებმა ასევე აჩვენა, რომ დაშვების ყველა წინაპირობა კარგად არის გადმოცემული პოტენციურ აბიტურიენტებთან და პროგრამაზე ჩასარიცხად, მათ აქვთ წვდომა ყველა საჭირო ინფორმაციაზე.

მტკიცებულება/ინდიკატორები

- საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმა
- თვითშეფასების ანგარიში
- გასაუბრება ადგილზე ვიზიტის დროს.
- ვებგვერდი www.sjuni.edu.ge

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	☒	☐	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პრაქტიკული და ტრანსფერული უნარ-ჩვევები სტუდენტებს უვითარდებათ პროგრამის სხვადასხვა კომპონენტის მეშვეობით, რომლის ძირითადი მაგალითია სასწავლო პროგრამაში 10 ECTS-ის მოცულობის პრაქტიკა. პრაქტიკული კომპონენტი, ძირითადად, მიზნად ისახავს სტუდენტის სამუშაო გარემოსთან და ზოგადად, შრომის ბაზრის მოთხოვნებთან ადაპტაციის პროცესის მხარდაჭერას, მონაცემთა ინტერპრეტაციას, საჯარო მმართველობის სექტორის საჭიროებებისა და პრობლემების იდენტიფიცირებას და ა.შ.

აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრება და თვითშეფასების ანგარიში ხაზს უსვამს, რომ პრაქტიკის სააგენტოებთან გაფორმებულია ურთიერთგაგების მემორანდუმები. აქვე აღსანიშნავია, რომ კურიკულუმის დაგეგმვისა და შემუშავების პროცესში მოწვეულნი და ჩართულნი არიან პრაქტიკოსები. ასევე უზრუნველყოფილია მუდმივი კომუნიკაცია შესაბამის დაფინანსების სააგენტოებთან სტუდენტების ექსტრაკურიკულური აქტივობების დასაფინანსებლად პროგრამის პროფესორებისა და პრაქტიკოსების მონაწილეობით, რაც უზრუნველყოფს სტუდენტებში პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარებას.

უნივერსიტეტი ასევე უზრუნველყოფს სტუდენტების მონაწილეობის დაფინანსებას შესაბამის საერთაშორისო კონფერენციებში, ვორქშოფებში, ტრენინგებში, სეზონურ სკოლებში. Erasmus Plus-ის საერთაშორისო საკრედიტო მობილობის პროგრამა ასევე ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის.

ექსტრაკურიკულური აქტივობების ორგანიზებასთან ერთად, ასევე უზრუნველყოფილია სტუდენტების შეხვედრები შესაბამის მაღალი დონის პოლიტიკის შემქმნელებთან, როგორებიცაა სახალხო დამცველი, პროკურორი და ა.შ.

მტკიცებულება/ინდიკატორები

- საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმი
- თვითშეფასების ანგარიში
- ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებები

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის

- o არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	☒	☐	☐	☐

2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმსა და სილაბუსებში დეტალურად არის აღწერილი სწავლა-სწავლების მეთოდები შემავალი კურსების მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევითა და პროგრამის მიზნების მიღწევაში წვლილის შეტანით სწავლის შედეგების მიღწევის შესაბამისად. პროგრამის კურიკულუმიდან და სილაბუსებიდან გამომდინარე გამოიყენება სწავლების შემდეგი მეთოდები:

- ვერბალური, ზეპირი მეთოდი;
- წერილობითი მუშაობის მეთოდი;
- ჯგუფური მუშაობა,
- განხილვა/ დებატები
- ახსნა-განმარტებითი მეთოდი;
- პრეზენტაცია
- იმიტირებული პროცესი
- გონებრივი შტურმი
- შემთხვევის ანალიზი
- წიგნზე დაფუძნებული მეთოდი;
- სწავლება ელექტრონული რესურსებით
- დემონსტრირების მეთოდი;
- პრაქტიკა

- თანამშრომლობა
- ინდუქციური/დედუქციური ანალიზი
- ევრისტიკული
- მოქმედებაზე ორიენტირებული სწავლება

აქვე აღსანიშნავია, რომ სწავლების ყველა ზემოთ ჩამოთვლილ მეთოდს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს სტუდენტებში შესაბამისი პრაქტიკული და თეორიული უნარების განვითარებაში.

მტკიცებულება/ინდიკატორები

- საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმი და სილაბუსები.
- თვითშეფასების ანგარიში

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის

- არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ შეესაბამება მოთხოვნებს**
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	☒	☐	☐	☐

2.4. სტუდენტის შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უმაღლესი სასწავლებლის მიერ შევსებულ თვითშფასების ანგარიშში აღნიშნულია, რომ სტუდენტის შეფასება ხორციელდება დონის მოთხოვნებისა და სწავლის შედეგების გათვალისწინებით. აკადემიური პროგრამების საგანმანათლებლო კომპონენტში მოსწავლის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს – შუალედურ (ერთჯერადი ან მრავალჯერადი) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა). როგორც თვითშეფასების ანგარიშიდან, ისე სილაბუსიდან ჩანს, რომ სტუდენტი ფასდება სხვადასხვა კომპონენტის მიხედვით, როგორებიცაა ესე, დემონსტრირება, საშინაო დავალება, ჯგუფური მუშაობა, წერილობითი გამოკითხვა და ა.შ.

აკადემიურ პროგრამაში საგანმანათლებლო კომპონენტის (სასწავლო კურსი, პრაქტიკა, საბაკალავრო ნაშრომი და ა.შ.) შეფასება ხორციელდება 100-ქულიანი სისტემით. აკადემიური კურსი შესწავლილად ითვლება, თუ სტუდენტის საბოლოო შეფასება უდრის ან აღემატება 51%-ს.

შეფასების სისტემა მოიცავს:

ა) ხუთ პოზიტიურ შეფასებას:

ა.ა.) (A) ფრიადი - 91-100 ქულა

ა.ბ.) (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა

ა.გ.) (C) კარგი - 71-80 ქულა

ა.დ.) (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა

ა.ე.) (E) საკმარისი - 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა.) (FX)- ვერ ჩააბარა - 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს მეტი მუშაობა სჭირდება ჩასაბარებლად და ეძლევა უფლება, ჩააბაროს კიდევ ერთი დამატებითი გამოცდა დამოუკიდებელი მუშაობის საფუძველზე

ბ.ბ.) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსწავლის მიერ შესრულებული სამუშაო არ არის საკმარისი და საჭიროა, რომ საგანი შეისწავლოს ხელახლა.

დაწესებულებამ ასევე შეიმუშავა სწავლის შედეგების შეფასების დოკუმენტი, რომელშიც აღნიშნულია, რომ შეფასებისას გამოიყენება როგორც პირდაპირი, ასევე ირიბი შეფასების მექანიზმები. პირდაპირი შეფასებისას გამოიყენება საგამოცდო შეფასებით დადგენილი ფორმები, ხოლო ირიბი შეფასება გულისხმობს პროგრამის ხელმძღვანელისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დაკვირვებას.

ვიზიტის დროს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს ჯერ დაუსვეს კითხვები შეფასებასთან დაკავშირებით და მათ აღნიშნეს, რომ პირველ ლექციაზე სტუდენტებს აცნობენ სილაბუსს, შეფასების მეთოდებსა და კრიტერიუმებს. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს ასევე დაესვა კითხვები შეფასების გასაჩივრების მექანიზმთან დაკავშირებით, რაზეც აღნიშნეს, რომ განცხადება შეფასების გასაჩივრებაზე იწერება დეკანის სახელზე, რომელიც შემდეგ ქმნის სააპელაციო კომიტეტს. ამ კომისიაში არ შედის ლექტორი, რომლის შეფასებაცაა გასაჩივრებული. რამდენიმე აკადემიურმა პერსონალმა განაცხადა, რომ მათი შეფასება სტუდენტებმა პირადად გაასაჩივრეს და რომ განხილვის შედეგად შეფასება გაიზარდა. შეფასების გასაჩივრების მექანიზმთან დაკავშირებით შეკითხვები დაესვათ სტუდენტებს, რის შედეგადაც გაირკვა, რომ მათ იცოდნენ გასაჩივრების მექანიზმის შესახებ. რამდენიმე სტუდენტმა გაასაჩივრა ქულები და განხილვის შემდეგ მათ მიიღეს უფრო მაღალი ქულა. მათ ასევე აღნიშნეს, რომ აპელაციის დროს შეფასება ან უცვლელი რჩება ან უმჯობესდება; გასაჩივრების შემდეგ მიღებული ქულა არ მცირდება. სტუდენტები ხედავენ შეფასებას Moodle-ში და ასევე ეცნობებათ ლექტორის მიერ.

ვიზიტის დროს ასევე გაირკვა, რომ დაწესებულება დიდ ყურადღებას უთმობს პლაგიარიზმს და მის პრევენციას. ამის საფუძველზე თითოეული ნაშრომი იტვირთება პლაგიარიზმის გამოვლენის პროგრამაში „ტურნიტინი“, რომლის შესახებ სტუდენტები წინასწარ არიან გაფრთხილებულნი და აქტიურად გამოიყენება.

მტკიცებულება/ინდიკატორები

- "დაწესებულების თვითშეფასების ანგარიში".
- დანართი 4 „საჯარო ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება“

- დანართი 1 „საჯარო ადმინისტრირების პროგრამა“
- დანართი 1 „სილაბუსები“
- დანართი 13 „პლაგიარიზმის დებულება“
- www.sjuni.edu.ge
- გასაუბრების შედეგები.

რეკომენდაციები

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის

- არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
2.4. სტუდენტების შეფასება	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზაცია, პროგრამის დაუფლების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ შეესაბამება მოთხოვნებს	☐

3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და

კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დაწესებულება აწვდის სტუდენტს ინფორმაციას სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების შესახებ. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულია, რომ დაწესებულებას აქვს რექტორთან კონსულტაციის საათი, რომელიც წინასწარ არის გამოკრული დაწესებულებაში და ცნობილის ყველასათვის. ეს ინფორმაცია დაადასტურა როგორც თვითშეფასების ჯგუფმა, ისე სტუდენტებმა. დაწესებულებაში ასევე არის სტუდენტთა კარიერული განვითარების ცენტრი, ფსიქოლოგის ოთახი, რომელსაც შეუძლია საჭიროების შემთხვევაში პირველადი დახმარება გაუწიოს სტუდენტებს, სპორტული დარბაზი და ჭადრაკის ცენტრი.

პირველი კურსის სტუდენტებისთვის ჩაბარებიდან ერთი კვირის განმავლობაში ტარდება გაცნობითი ხასიათის შეხვედრები, სადაც სტუდენტები დეტალურად ეცნობიან დაწესებულების პოლიტიკასა და დეტალებს. გარდა გაცნობითი შეხვედრისა, დღეს სტუდენტები მიიღებენ სტიპენდიას და დატარდება ჯილდოების ცერემონია, რათა ეს ღონისძიება გახდეს სამოტივაციო ღონისძიება პირველი კურსის სტუდენტებისათვის.

დაწესებულებას ასევე აქვს ჟურნალი, სადაც სტუდენტებს შეუძლიათ ჩაიწერონ ნებისმიერი უკმაყოფილება ან საჩივარი. აღნიშნულ ჟურნალს საკმაოდ კარგად იყენებენ სტუდენტები, რადგან კარგად არიან ინფორმირებულები საკუთარი უფლებების შესახებ.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ჩანს, რომ სტუდენტები მონაწილეობენ საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში, აქტიურად იმართება საჯარო ლექციები და კონფერენციები. სტუდენტებთან ინტერვიუს დროს რამდენიმე სტუდენტმა აღწერა სხვადასხვა კონფერენცია, რომლებსაც ესწრებოდნენ.

ლექციის გარეთ სტუდენტებს შეუძლიათ ლექტორთან კომუნიკაცია საკონსულტაციის საათების გარეშეც. ლექტორთან კონსულტაციის საათები წინასწარ არის შეთანხმებული სემესტრის დასაწყისში და გამოქვეყნებულია დაწესებულებაში. გარდა ამისა, სტუდენტებს შეუძლიათ ლექტორთან კომუნიკაცია Facebook-ის და დაწესებულების ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

პროგრამის ხელმძღვანელმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ სტუდენტების ინტერესი გაცვლითი პროგრამების მიმართ საკმაოდ მაღალია, თუმცა არის შემთხვევებიც, როცა მშობლები თავად არ აძლევენ სტუდენტებს საზღვარგარეთ წასვლის საშუალებას.

კურსდამთავრებულთა ჩართულობა დაწესებულებლის საქმიანობაში საკმაოდ მაღალია, რადგან ისინი აქტიურად იღებენ ინფორმაციას დაწესებულებაში განხორციელებული საქმიანობის შესახებ დაწესებულებლის ელექტრონული ფოსტით და წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ჩანს, რომ მათი გამოკითხვები მიმდინარეობს აქტიურად.

დაწესებულებას წარდგენილი აქვს საკმაოდ მოცულობითი მემორანდუმები სხვადასხვა ორგანიზაციებთან და სახელმწიფო სტრუქტურებთან; სტუდენტები სემესტრის ბოლომდე გადიან სტაჟირებას სხვადასხვა დამსაქმებელთან, რაც მათ საშუალებას აძლევს პრაქტიკულად გაიაზრონ პროგრამის მიზანი და არსი. დამსაქმებლებთან გასაუბრებისას ისინი გამოხატავენ სტუდენტებით კმაყოფილებას, თუმცა აღნიშნავენ, რომ სასურველი იქნებოდა, სტუდენტებს ჰქონოდათ მეტი პრაქტიკული საგნები, რათა არ გაუჭირდეთ დასაქმება.

დაწესებულებას აქვს შიდა საუნივერსიტეტო სტიპენდიები, ასევე მერიის სტიპენდია, რაც სტუდენტებმა დაადასტურეს გასაუბრებისას. რამდენიმე მათგანი იღებს სტიპენდიას და კარგად იცნობს სტიპენდიის მიღების მექანიზმს.

მტკიცებულება/ინდიკატორები

- დანართი 1. „საჯარო ადმინისტრირების საბაკალავრო აკადემიური პროგრამა, კურიკულუმის რუკა, სილაბუსები“
- დანართი 3. „აკადემიური პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“
- დასაქმების ფორუმი
- დანართი 6. „პროგრამის ხელმძღვანელისა და ადმინისტრაციული პერსონალის ფუნქციები და პასუხისმგებლობები“
- დანართი 9. "ხელშეკრულებები"
- დანართი 13. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები.
- მარეგულირებელი დოკუმენტები: სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა საინფორმაციო მომსახურების მექანიზმი
- სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდება და დისციპლინური პასუხისმგებლობები, თავი X, მუხლი 40, 41.
- სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდება და დისციპლინური პასუხისმგებლობები, თავი X, მუხლი 40, 41.
- სასწავლო პროცესის რეგულირების წესი
- დანართი 14. უსდ-ის მიერ ჩატარებული სტუდენტების/კურსდამთავრებულების/დამსაქმებლების/პერსონალის გამოკითხვის ფორმები/შედეგები.
- www.sjuni.edu.ge
- გასაუბრება ადგილზე ვიზიტის დროს.

რეკომენდაციები

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის

- არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს

3.1 სტუდენტები და მათი მხარდაჭერის სერვისები	☒	☐	☐	☐

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სტანდარტი არ ვრცელდება საბაკალავრო პროგრამაზე.

მტკიცებულება/ინდიკატორები

- დაკონკრეტება არ არის საჭირო

რეკომენდაციები:

- დაკონკრეტება არ არის საჭირო

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის

- დაკონკრეტება არ არის საჭირო

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	☐	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მოსწრება მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ შეესაბამება მოთხოვნებს	☐

4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტურ და ეფექტიან ფუნქციონირებას და დასახული მიზნების მიღწევას.

4.1. ადამიანური რესურსები

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საჯარო ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის აკადემიური/მოწვეული პერსონალი ფლობს საჭირო კომპეტენციებს და კვალიფიკაციას, რაც გამოიხატება მათ მიერ ბოლო დროს გამოქვეყნებული ნაშრომებით. უაღლეს ცოდნას ისინი იღებენ სამეცნიერო კვლევებში, აკადემიურ კონფერენციებსა და ერთობლივ პროექტებში აქტიური ჩართულობით.

აკადემიური პერსონალის მონაწილეობა უზრუნველყოფს თანამედროვე სასწავლო გარემოს, რომელიც ხელს უწყობს კვლევისა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული სწავლისეულ მიდგომებს, ადგილობრივი და საერთაშორისო ინსტიტუტების გამოცდილებას ინკორპორირებას.

აკადემიური პერსონალის თანაფარდობა სტუდენტებთან შესაბამისია პროგრამის ეფექტური განხორციელებისათვის. მათ წვლილი შეაქვთ პროგრამის შემუშავებაში, უწევენ მეგზურობას სტუდენტებს და მონაწილეობენ უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ ღონისძიებებში, როგორც ეს მოცემულია უნივერსიტეტის წესებასა და მათ შრომით ხელშეკრულებებში.

პროგრამის ხელმძღვანელი ფაკულტეტთან და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად კოორდინაციას უწევს პროგრამის შეფასებასა და განვითარებას. ისინი აქტიურად აფასებენ პროგრამის განხორციელებას შიდა მექანიზმების გამოყენებით და ამზადებენ თვითშეფასების ანგარიშს ფაკულტეტის საბჭოს განსახილველად, რასაც მოსდევს პროგრამის ცვლილებები.

პროგრამას ახორციელებს ბევრი აკადემიური/მოწვეული პერსონალი (სულ 37, მათ შორის 8 პროფესორი, 11 ასოცირებული პროფესორი და 18 სპეციალისტი), რაც უზრუნველყოფს მის მდგრადობას. სამუშაო დატვირთვის სქემა შეესაბამება უნივერსიტეტის რეგულაციებს, სწავლების, კვლევისა და დაკისრებული ფუნქციების გათვალისწინებით.

ეფექტური მართვის მიზნით პროგრამის განხორციელებაში ჩართულია კვალიფიციური ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. თანმიმდევრულად გაიზარდა პერსონალის ხელფასები, დაწესდა სახელფასო დანამატები პროგრამის ხელმძღვანელებისა და თანახელმძღვანელებისათვის. აკადემიური პერსონალისთვის სავალდებულო საათობრივი დატვირთვა შემცირდა, რაც გაზრდის მისი საქმიანობის ეფექტურობას.

მიმდინარეობს ძალისხმევა, რათა გაიზარდოს საჯარო ადმინისტრირების პროგრამის პერსონალში დოქტორის ხარისხის მქონეთა რაოდენობა. გაუმჯობესდა ძირითად კომპონენტების მასწავლებელი პერსონალის შემადგენლობა, მათ შორის დაინიშნა ასოცირებული პროფესორი და მოწვეულ იქნა საჯარო ადმინისტრირების ხუთი დოქტორი და ერთი დოქტორანტი.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	**პროგრამის პერსონალის რაოდენობა**	**მათ შორის დარგობრივი ექსპერტიზის მქონე პერსონალი[6]**	**მათ შორის დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[7]**	**მათ შორის, აფილირებული პერსონალი**
სულ აკადემიური პერსონალი	**37**	**19**	**16[8]**	**8**
- პროფესორი	8	4	8	8
- ასოცირებული პროფესორი	11	5	1	0
- ასისტენტ-პროფესორი	0		2	
- ასისტენტი	0			
მოწვეული პერსონალი	18	10	5	_
სამეცნიერო პერსონალი	0	0	0	_

[6] ძირითადი სასწავლო დარგის შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი.
[7] შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი, რომელიც ახორციელებს სასწავლო ძირითადი დარგის კომპონენტებს.
[8] ერთ-ერთი მოწვეული ლექტორი აკლდა.

მტკიცებულება/ინდიკატორები

- დანართი 1. საჯარო ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა
- დანართი 3. აკადემიური პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- დანართი 4. სწავლის შედეგების მექანიზმები
- დანართი 5. აკადემიური/მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები
- დანართი 6. პროგრამისა და ადმინისტრაციული პერსონალის ფუნქციები და პასუხისმგებლობები
- დანართი 9. ხელშეკრულებები. შესაბამისი ხელშეკრულებები/მემორანდუმები პრაქტიკის სუბიექტებთან
- დანართი 11. კვლევითი საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტები
- სახელმძღვანელო, ტექსტური მითითების სტილი
- კვლევითი საქმიანობის კონცეფცია
- რეგულაცია პლაგიარიზმთან დაკავშირებით
- დანართი 12. აკადემიური/მოწვეული პერსონალის დატვირთვა
- დანართი 13. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები.
- 13.1.1 მარეგულირებელი დოკუმენტები: ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები - მუხლი 5. სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესი
- 13.1.1 მარეგულირებელი დოკუმენტები: პერსონალის შეფასების წესი
- 13.1.1 სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდება და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები
- 13.1.4 – 13.1.2 - სტუდენტებისა და პერსონალის გამოკითხვა
- დანართი 14. უსდ-ის მიერ ჩატარებული სტუდენტების/კურსდამთავრებულების/დამსაქმებლების/პერსონალის გამოკითხვის კითხვარის ფორმები/შედეგები და ინფორმაცია მისი გამოყენების შესახებ.
- დანართი 15. სწავლის შედეგების შეფასება
- სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკა (ადგილზე)
- დანართი 16. პერსონალის მუშაობის შესწავლა.
- ვებ-საიტი: : www.sjuni.edu.ge
- თვითშეფასების ანგარიში დანართი Excel 1

რეკომენდაციები

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის

- პროგრამისათვის შემოთავაზების სახით, მიზანშეწონილია პროაქტიული ღონისძიებების გატარება, რათა გაიზარდოს შესაბამის სასწავლო სფეროში დოქტორის ხარისხის მქონე პირთა რიცხვი. ამის მიღწევა შესაძლებელია საჯარო ადმინისტრირების სფეროში კიდევ ორი დოქტორის დამატებით ამ უკანასკნელთა ამჟამინდელ რაოდენობაზე.
- მიზანშეწონილია პროგრამის ხელმძღვანელმა რეგულარულად ჩაატაროს რეალობის შემოწმება საჯარო ადმინისტრირების რეფორმის (PAR) პროგრესის შესაფასებლად. ამის მიღწევა

შესაძლებელია საქართველოს მთავრობასთან (GoG) თანამშრომლობით, რომელიც ხელმძღვანელობს PAR-ის ძალისხმევას ქვეყანაში.

- რეკომენდირებულია პროგრამის ხელმძღვანელმა რეგულარულად შეაფასოს სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტების ფაქტობრივი საჭიროებები მუნიციპალური ან ცენტრალური ხელისუფლების რეგიონულ ოფისებში სამუშაო ძალაზე მოთხოვნის, ასევე სოციალური თუ სხვა სერვისების მიმწოდებლების სიმწირის თვალსაზრისით. ეს შეფასება სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებს შესძენს შრომის ბაზრის შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას.
- ამ პროცესის ხელშესაწყობად პროგრამის ხელმძღვანელმა უნდა დანიშნოს რეგულარული შეხვედრები მუნიციპალიტეტების მერებთან/მერის მოადგილეებთან და შესაბამისი დეპარტამენტების/ერთეულების ხელმძღვანელებთან, რათა განიხილონ მათთვის კონკრეტული სამუშაო ძალის საჭიროება. ამ დისკუსიებში ჩართვით პროგრამის ხელმძღვანელს შეუძლია უკეთ გაიგოს მუნიციპალიტეტების მოთხოვნები და მოლოდინები და შესაბამისობაში მოიყვანოს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამები.
- გარდა ამისა, პროგრამის ხელმძღვანელისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იყოს ინფორმირებული დასაქმების პოტენციურ შესაძლებლობებზე როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო ორგანიზაციებში. ეს ცოდნა პროგრამის ხელმძღვანელს საშუალებას მისცემს გაუძღვეს და მხარი დაუჭიროს სტუდენტებს კარიერული გზის გავლაში, რაც შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას - მიაწოდოს კვალიფიციური მუშახელი სახელმწიფო, კერძო და არაკომერციული ორგანიზაციებს მთელ რეგიონში.
- ზემოთ მოყვანილი წინადადებების შესაბამისად პროგრამას საჭიროა დაემატოს შემდეგი კურსები ან თემები არსებულ კურსში:
    - საჯარო ადმინისტრირების საკანონმდებლო ბაზა საქართველოში (ყველა შესაბამისი კანონის იდენტიფიცირებისათვის მნიშვნელოვანია საქართველოს მთავრობასთან კონსულტაციები)
    - ელექტრონული მმართველობა, მთავრობის IT ინფრასტრუქტურა, პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც გამოიყენება ადმინისტრაციულ ბიზნეს პროცესში როგორც ადგილობრივ, ისე ცენტრალურ დონეზე
    - კურსი კატასტროფებისა და საგანგებო სიტუაციების მართვის შესახებ (საკანონმდებლო ბაზაზე და წარსულში არსებულ, რეალურ შემთხვევებზე დაყრდნობით)
    - კომუნიკაცია საჯარო ადმინისტრირებაში: წერილების წერა, სხვადასხვა ადმინისტრაციული დოკუმენტების წარმოება: ანგარიში, სტრატეგიები, სამოქმედო გეგმა, საჭიროებების ანალიზი, პოლიტიკის დოკუმენტების შედგენა და ისეთი ნორმატიული დოკუმენტების მომზადება, როგორიცაა ბრძანებები და განკარგულებები. პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავებისთვის შესაბამისი კანონმდებლობა უნდა ისწავლებოდეს.

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ შეესაბამება მოთხოვნებს**
4.1. ადამიანური რესურსები	☒	☐	☐	☐

4.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელების კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სტანდარტი არ ვრცელდება საბაკალავრო პროგრამაზე.

მტკიცებულება/ინდიკატორები

- დაკონკრეტება არ არის საჭირო

რეკომენდაციები

- დაკონკრეტება არ არის საჭირო

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის

- დაკონკრეტება არ არის საჭირო

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
4.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელთა კვალიფიკაცია	☐	☐	☐	☐

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი პრიორიტეტს ანიჭებს აკადემიური და მოწვეული

პერსონალის შეფასებას და პროფესიულ განვითარებას. უნივერსიტეტი აცნობიერებს სწავლისა და კვლევის ინტეგრირების მნიშვნელობას, განსაკუთრებით დოქტორანტურის დონეზე, და შემუშავებული აქვს კვლევითი საქმიანობის კონცეფცია ამ ინტეგრაციის მხარდასაჭერად. კონცეფცია მოიცავს კვლევის დაგეგმვას, შეფასების ინდიკატორებს და სამუშაო დატვირთვის სქემას, რომელიც აკადემიურ პერსონალს უსაზღვრავს სამეცნიერო აქტივობების სავალდებულო წილს. იგი ასევე ხაზს უსვამს სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნებას იმპაქტ-ფაქტორის მქონე პუბლიკაციებში ყოველ ორ წელიწადში ერთხელ.

უნივერსიტეტი პერსონალს სთავაზობს მრავალფეროვან სამეცნიერო აქტივობებს და ღონისძიებებს, როგორებიცაა: სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მონაწილეობა, სამეცნიერო კონცეფციებზე, ფორუმებზე, სიმპოზიუმებსა და კონგრესებზე დასწრება, სამეცნიერო გამოცემებისა და ნაშრომების რედაქტირება, სამეცნიერო კონსულტაციებისა და ექსპერტული აქტივობების ჩატარება და სამეცნიერო და პოპულარულ აქტივობებში ჩართვა. ამ აქტივობებს სამუშაო დატვირთვის სქემაში ენიჭება შესაბამისი საათები.

კვლევითი საქმიანობის ხარისხის უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტში დანერგილია შიდა შეფასების სისტემა. აკადემიური პერსონალი ვალდებულია წარადგინოს ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიში, რომელიც ითვალისწინებს მათ სამეცნიერო საქმიანობას უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შედეგებზე დაყრდნობით ითვლის სამეცნიერო პროდუქტიულობის საერთო მაჩვენებელს და აერთიანებს მათ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში წარდგენილ ანგარიშებში.

უნივერსიტეტი აფასებს წარმატებული კვლევის პრაქტიკის გაზიარებასა და პოპულარიზაციას და მხარს უჭერს აკადემიური პერსონალის მონაწილეობას საერთაშორისო და ადგილობრივ კვლევით ღონისძიებებში. ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები გათვალისწინებულია როგორც პერსონალისათვის, ასევე სტუდენტებისთვის, უნივერსიტეტი ფინანსური დაგეგმვისას განიხილავს დაფინანსებისა და თანადაფინანსების პროცედურებს. დაფინანსების წყაროები მოიცავს კვლევის განვითარების დაფინანსებას უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან, გრანტებიდან და გარე წყაროებიდან.

კვლევითი საქმიანობის გასაძლიერებლად, უნივერსიტეტი აწყობს ტრენინგ სესიებს და ვებინარს სამეცნიერო მეტრიკის, ონლაინ სასწავლო ტექნოლოგიებისა და პლატფორმების, ფინანსური აღრიცხვის, ინტერკულტურული განათლებისა და სხვა შესაბამისი თემების შესახებ. უნივერსიტეტი აქტიურად ეძებს საერთაშორისო პარტნიორობასა და თანამშრომლობას, როგორიც არის Erasmus+ პროგრამა, რათა შემდგომში განავითაროს თავისი კვლევითი შესაძლებლობები.

უნივერსიტეტმა ასევე განახორციელა ღონისძიებები აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით. ეს მოიცავს უწყვეტ ტრენინგს სწავლების მეთოდებში, განსაკუთრებით დისტანციური სწავლების ტექნიკაში და ხელფასის ზრდას. უნივერსიტეტი აფასებს გამოცდილი პროფესორების გამოცდილებას და ხელს უწყობს მათსა და ახალ მასწავლებლებს შორის თანამშრომლობას.

ინფრასტრუქტურისა და რესურსების კუთხით უნივერსიტეტმა დანერგა ციფრული ტექნოლოგიები და სწავლის მართვის სისტემები. პერსონალi უზრუნველყოფილია ტრენინგებითა და მხარდაჭერით, ამასთანავე ტარდება სტუდენტების გამოკითხვები სასწავლო კურსების შესაფასებლად. დისტანციურ სწავლებაზე გადასვლამდე პერსონალს ჩაუტარდა კონსულტაციები. ინდივიდუალური ტრენინგები და მათთვის ხელმისაწვდომი გახდა ვიდეო ინსტრუქციები Moodle პლატფორმის გამოყენების თაობაზე.

უნივერსიტეტი რეგულარულად აანალიზებს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის საჭიროებებს გამოკითხვების საშუალებით, ხოლო Moodle-ის ადმინისტრატორისა და ელექტრონული

სწავლების ხელმძღვანელის საკონტაქტო ინფორმაცია მიწოდებულია მიმდინარე სასწავლო კონსულტაციებისათვის.

მთლიანობაში, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი მოწოდებულია ხელი შეუწყოს მძლავრი კვლევითი კულტურის განვითარებას და მხარი დაუჭიროს აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებას. შეფასების მექანიზმების, ტრენინგ პროგრამების, ფინანსური მხარდაჭერისა და საერთაშორისო თანამშრომლობის საშუალებით უნივერსიტეტი ავითარებს გარემოს, რომელშიც კვლევა აყვავდება, ცოდნა ფართოვდება და მისი პერსონალი აუმჯობესებს მეცნიერულ მოღვაწეობას.

მტკიცებულება/ინდიკატორები

- დანართი 3. აკადემიური პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- დანართი 4. სწავლის შედეგების მექანიზმები
- დანართი 5. აკადემიური/მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები
- დანართი 6. პროგრამის ხელმძღვანელისა და ადმინისტრაციული პერსონალის ფუნქციები და პასუხისმგებლობები
- დანართი 9. ხელშეკრულებები. შესაბამისი ხელშეკრულებები/მემორანდუმები პრაქტიკის სუბიექტებთან
- დანართი 12. აკადემიური/მოწვეული პერსონალის დატვირთვა
- დანართი 13. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები.
- მარეგულირებელი დოკუმენტები: ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები - მუხლი 5. სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესი
- მარეგულირებელი დოკუმენტები: პერსონალის შეფასების წესი
- სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდება და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები
- სტუდენტთა და პერსონალის გამოკითხვა
- დანართი 14. უსდ-ის მიერ ჩატარებული სტუდენტების/კურსდამთავრებულების/დამსაქმებლების/პერსონალის გამოკითხვის კითხვარის ფორმები/შედეგები და ინფორმაცია მისი გამოყენების შესახებ.
- დანართი 15. სწავლის შედეგების შეფასება.
- სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკა (ადგილზე)
- დანართი 16. პერსონალის მუშაობის შესწავლა
- ვებგვერდი: : www.sjuni.edu.ge
- თვითშეფასების ანგარიში დანართი Excel 1

რეკომენდაციები

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის

- მიზანშეწონილია თანამშრომლების წახალისება საჯარო ადმინისტრირების ისეთ კონფერენციებში მონაწილეობის მისაღებად, როგორიცაა მაგალითად: ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში საჯარო ადმინისტრირების ინსტიტუტებისა და სკოლების ქსელის.

- პერსონალს შორის აკადემიური ჩართულობისა და ცოდნის გავრცელების კულტურის გასაძლიერებლად, რეკომენდებულია უნივერსიტეტმა განიხილოს სპეციალური საჯარო ადმინისტრირების კვლევითი ცენტრის დაარსება, მსგავსად არსებული ბავშვთა უფლებების ცენტრისა. ეს კვლევითი ცენტრი მოემსახურებოდა საჯარო მმართველობის სფეროში კვლევის ჩატარებას, კონფერენციების ორგანიზებასა და სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნებას. ასეთი ცენტრის შექმნით, უნივერსიტეტს შეუძლია უზრუნველყოს პლატფორმა პერსონალისათვის, რათა წვლილი შეიტანონ საჯარო ადმინისტრირების ცოდნაში და ადგილობრივი გადაწყვეტილების მიმღებებს მოახდინონ ინფორმირება მტკიცებულებებზე დაფუძნებული კვლევებისა და იდეების შესახებ. გარდა ამისა, პერსონალის წახალისება - წაიკითხონ და გამოიწერონ შესაბამისი სამეცნიერო ჟურნალები, კიდევ უფრო გააძლიერებს მათ მიერ დარგის უახლესი მოვლენების გაგებას და ხელს შეუწყობს უწყვეტ სწავლასა და პროფესიულ ზრდას.
- მტკიცე რჩევაა უნივერსიტეტის პერსონალისათვის გაცემული სოციალური გარანტიების გაძლიერება და გაუმჯობესება. სოციალური გარანტიების გაუმჯობესება გადამწყვეტია უნივერსიტეტის პერსონალის საერთო კეთილდღეობის, სამუშაოთი კმაყოფილებისა და სტაბილურობის მხარდაჭერისათვის. აუცილებელია პერსონალთან ღია და რეგულარულ კომუნიკაციაში ჩართვა მათი საჭიროებებისა და საზრუნავების გასაგებად და მათი უკუკავშირის ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში სოციალური გარანტიების პოლიტიკასთან დაკავშირებით.

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ შეესაბამება მოთხოვნებს**
4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	☒	☐	☐	☐

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის ინფრასტრუქტურა, რომელიც აღჭურვილია ICT და ინტერნეტით, ხელს უწყობს სწავლის შედეგების მიღწევას და კვლევით აქტივობებს სხვადასხვა საშუალებებით, როგორიცაა

სამკითხველო დარბაზები, ჯგუფური სამუშაო ადგილები, კომპიუტერული რესურსცენტრები და წიგნთსაცავები.

იგი მომხმარებლებს უზრუნველყოფს მუდმივად განახლებული წიგნების ფონდით, რაც განვითარების უახლეს ტენდენციებზე წვდომის საშუალებას იძლევა და წვლილი შეაქვს საგანმანათლებლო პროგრამის შედეგებსა და მაღალი ხარისხის კვლევაში. ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს სასწავლო პროგრამის სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის ხელმისაწვდომობას და მკითხველს სთავაზობს როგორც ბეჭდურ, ისე ელექტრონულ ვერსიას.

ფაკულტეტებთან თანამშრომლობით, ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს საჭირო ლიტერატურის შეტანას თავის კოლექციაში. იგი ასევე ყურადღებას ამახვილებს საერთაშორისო და აკადემიურ ელექტრონულ ბიბლიოთეკებსა და მონაცემთა ბაზებზე წვდომის გაფართოებაზე, სამეცნიერო ელექტრონული ბაზებისა და საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენების ტრენინგზე. ბიბლიოთეკა, სტუდენტების ცნობიერების ამაღლებისა და უნარების გასაუმჯობესებლად, ეწევა მომხმარებლებთან კომუნიკაციას სხვადასხვა არხებით, სთავაზობს სემინარებს, ტრენინგებს და საორიენტაციო შეხვედრებს საერთაშორისო ექსპერტებთან და პარტნიორ ორგანიზაციებთან.

ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი, რომელიც ხელმისაწვდომია ბეჭდურ და ელექტრონულ ფორმატში, მოიცავს აკადემიური პროგრამებისა და კურსებისათვის აუცილებელ ძირითად და დამხმარე ლიტერატურას როგორც ქართულ, ასევე უცხოურ ენებზე. თანამედროვე სამკითხველო ოთახებით, რომლებიც აღჭურვილია კომპიუტერებითა და ინტერნეტით, ბიბლიოთეკა სთავაზობს მშვიდ სამუშაო გარემოს ფოტოკოპირების, ბეჭდვისა და სკანირების მოწყობილობებთან ერთად. ბიბლიოთეკაში დადგენილია რეგულაციები და სარგებლობის წესები. მკითხველი უკავშირდება ელექტრონულად ბიბლიოთეკის კატალოგის მეშვეობით. ის მუშაობს კვირაში ექვსი დღე, უნივერსიტეტის ვებგვერდზე აწვდის ინფორმაციულ ინსტრუქციებსა და წესებს.

ონლაინ სამეცნიერო სტატიებზე, წიგნებსა და პატენტებზე წვდომა ცნობილი პლატფორმებიდან, როგორიცაა ScienceDirect და Scopus, ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის წევრობით Elsevier Consortium-ში. გარდა ამისა, ბიბლიოთეკას აქვს წვდომა AIP საქართველოს ბიბლიოთეკების ინტეგრირებული საინფორმაციო ქსელის მიერ მოწოდებულ ელექტრონულ რესურსებზე, რაც მომხმარებლებს საშუალებას აძლევს გამოიყენონ სხვადასხვა სამეცნიერო კრებულები.

ბიბლიოთეკა, მისი რესურსებისა და სერვისების გაძლიერების მიზნით, აქტიურად მონაწილეობს პროექტებსა და თანამშრომლობაში, მათ შორის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის ფილიალის გახსნითა და საინფორმაციო ცენტრის დაარსებით. რეგულარული მონიტორინგი უზრუნველყოფს ბიბლიოთეკის ფონდის შესაბამისობას სილაბუსების ლიტერატურასთან და ნებისმიერი გამოვლენილი ხარვეზის აღმოფხვრა ხდება წიგნის მომწოდებლებთან, ავტორებთან და პარტნიორებთან თანამშრომლობით. ახალი ლიტერატურის მუდმივი შეძენა და შევსება ხელს უწყობს სწავლის შედეგების გაუმჯობესებას და მოთხოვნის შემთხვევაში სახელმძღვანელოების გაგზავნა შესაძლებელია ელექტრონული ფოსტით ან უნივერსიტეტის გამომცემლობაში დაბეჭდილი და აკინძული ფორმით.

მტკიცებულება/ინდიკატორები

- დანართი 6. პროგრამის ხელმძღვანელისა და ადმინისტრაციული პერსონალის ფუნქციები და პასუხისმგებლობები

- ბიბლიოთეკის კონტრაქტები
- ბიბლიოთეკის რეგულაციები და სარგებლობის წესები
- დანართი 13. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები.
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისკვლევები და ანგარიშები
- დანართი 9. ხელშეკრულებები
- ბიბლიოთეკა, ტექნიკური რესურსები (ადგილზე)
- ბიბლიოთეკის საერთაშორისო ელექტრონული რესურსების ხელმისაწვდომობა
- ელექტრონული ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდის შესაბამისობა საგანმანათლებლო პროგრამებში მითითებულ სავალდებულო ლიტერატურასთან (ადგილზე)
- ვებგვერდი: www.sjuni.edu.ge

რეკომენდაციები

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის

- არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
4.4. მატერიალური რესურსები	☒	☐	☐	☐

4.5 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და ფინანსური მდგრადობა

პროგრამით/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად შესრულებადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, განვითარებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო და კვლევითი დაწესებულებაა საქართველოში, იყენებს თავის მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს, მათ შორის სალექციო და საპრეზენტაციო სივრცეებს, აგრეთვე უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ფონდს თავისი პროგრამების მხარდასაჭერად გრძელვადიან პერსპექტივაში. ბიბლიოთეკის ფონდის გამდიდრება პრიორიტეტულია და ფინანსდება საერთო ბიუჯეტიდან, რაც უზრუნველყოფს პროგრამის განსახორციელებლად საჭირო ლიტერატურის ხელმისაწვდომობას.

უნივერსიტეტი ავლენს ერთგულებას აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მიმართ

სამეცნიერო საქმიანობაში მათი მონაწილეობის დაფინანსებით. იგი პერიოდულად აცხადებს კონკურსებს კვლევით პროექტებსა და საუნივერსიტეტო ინსტიტუციურ განვითარებაზე, პროგრამის ადმინისტრირით ფაკულტეტის ადმინისტრაციული პერსონალის მიერ. პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურება გათვალისწინებულია უნივერსიტეტის საერთო ბიუჯეტში.

გარდა ამისა, უნივერსიტეტი მხარს უჭერს კვლევის შედეგების პრეზენტაციას და ფარავს ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია ნაშრომების გამოცემასა და სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობასთან. პროგრამის ბიუჯეტი მოიცავს რამდენიმე კომპონენტს, მათ შორის აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომის ანაზღაურებას, ფაკულტეტის ადმინისტრირების ხარჯებს, ცნობილ საერთაშორისო მონაცემთა ბაზებში სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნების თანადაფინანსებას, კონფერენციებზე, ფორუმებსა და ტრენინგებზე დამსწრე აკადემიური და მოწვეული პერსონალის მივლინების ხარჯებს, სტუდენტური კონფერენციებისა და სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნების დაფინანსებას, გამორჩეული სტუდენტების სტიპენდიებს, მრავალშვილიანი ოჯახების სტუდენტების დახმარებას და სხვა გაუთვალისწინებელ ხარჯებს. გარდა ამისა, თანხები გამოიყოფა მატერიალურ-ტექნიკური რესურსების განახლებისათვის.

საბიუჯეტო ხარჯებისთვის ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად განხორციელებადია და შეესაბამება პროგრამის მოთხოვნებს, რაც უზრუნველყოფს მის ეფექტურ განხორციელებას და დაწესებულების განვითარებას.

მტკიცებულება/ინდიკატორები

- საჯარო ადმინისტრირების საბაკალავრო აკადემიური პროგრამის ბიუჯეტი.
- უსდ-ს ბიუჯეტი - www.sjuni.edu.ge

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის

- უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტმა უნდა გააგრძელოს აქტიური თანამშრომლობა აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან ინტერნაციონალიზაციის მცდელობების გაძლიერების მიზნით. ამის მიღწევა შესაძლებელია ისეთ აქტივობებში მუდმივი ჩართულობით, როგორიცაა გაცვლითი პროგრამების კვლევა, საინფორმაციო კამპანიების მასპინძლობა და რეგულარული ინიციატივების ორგანიზება ყოველი სასწავლო წლის დეკემბერსა და ივნისში.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ შეესაბამება მოთხოვნებს	☐

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობანი

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე გაირკვა, რომ პროგრამის შექმნაში მონაწილე პერსონალი იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გაუმჯობესების მიზნით.

ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის საქმიანობა განისაზღვრება ფუნდამენტური დოკუმენტით, რომელიც აღწერს, თუ რას აფასებს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ფარგლებში, რომელ დოკუმენტებს ეყრდნობა და შეფასების რომელ ინსტრუმენტებს იყენებს შეფასების პროცესში.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის შეფასება მოიცავს რამდენიმე ძირითად მიმართულებას, როგორიცაა საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესის ორგანიზაცია, განხორციელება და მართვა, სასწავლო პროცესის მონაწილეები, სასწავლო და კვლევითი პროცესის რესურსებით უზრუნველყოფა (ადამიანური, ფინანსური, მატერიალურ- ტექნიკური და ა.შ.).

წარმოდგენილი დოკუმენტები ადასტურებს, რომ უნივერსიტეტში გონივრული პერიოდულობით ფასდება შემდეგი კომპონენტები:

- ძირითადი (საგანმანათლებლო) და დამხმარე პროცესების ორგანიზება
- სწავლების და საგანმანათლებლო პროცესის მეთოდური უზრუნველყოფა
- საგანმანათლებლო პროგრამები
- პროგრამის სპეციფიკის შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფა
- ამ პროგრამის განმახორციელებლების საქმიანობა
- სტუდენტთა საგანმანათლებლო საქმიანობა

ასევე ხაზი გაესვა, რომ პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და პროცედურები მიჰყვება „PDCA“ ციკლს: "დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-იმოქმედე".

მოცემული ციკლის აუცილებლობა უზრუნველყოფილია უნივერსიტეტის ყველა ქვედანაყოფის ეფექტური ჩართულობით ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელებაში. ხდება ჩატარებული შესაწვალის ანალიზი, მისი შედეგები და მათზე რეაგირების გზები აისახება შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების ანგარიშებში და წარედგინება გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებს.

მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე ხდება შემდგომი ცვლილებები, რაც პროგრამის განვითარებას და გაუმჯობესებას აქტიურად უწყობს ხელს.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი თანამშრომლობს აკადემიურ საბჭოსთან, რექტორთან, წარმომადგენლობით საბჭოსთან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან, ფაკულტეტის საბჭოსთან, დეკანთან, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, ადმინისტრაციული და დამხმარე ფუნქციების განმახორციელებელ სტრუქტურულ ერთეულებთან.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემა, რის საფუძველზეც სხვადასხვა მექანიზმების გამოყენებით ხდება აკადემიური/მოწვეული პერსონალის მუშაობის შეფასება.

გასაუბრებების შედეგად ასევე დადასტურდა, რომ აკადემიური/მოწვეული პერსონალი იცნობს გამოკითხვის შედეგებს და აქტიურად მუშაობს გაუმჯობესების საკითხებზე, თუკი ასეთი გამოვლინდა.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს აკადემიური პერსონალის წახალისების მექანიზმები, რაც დიდ როლს ასრულებს მათი კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერაში.

შიდა შეფასებისა და ხარისხის მონიტორინგის გარდა, აღსანიშნავია დაწესებულებაში ე.წ. „რექტორის საათის“ არსებობა, სადაც სტუდენტებს შეუძლიათ ღიად გამოთქვან თავიანთი აზრი უნივერსიტეტის რექტორთან, რასაც (საჭიროების შემთხვევაში) მოჰყვება შემდგომი რეაგირება.

სააკრედიტაციო ვიზიტის დროს გამოვლინდა როგორც აკადემიური, ისე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის აქტიური ჩართულობა პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის მომზადებაში.

წარმოდგენილი დოკუმენტებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ხარისხის უზრუნველყოფის თეორიული საფუძვლები სრულად რელევანტურია და ამ დოკუმენტებზე დაყრდნობით ჩატარებული პროცედურები გამჭვირვალეა და თანმიმდევრული.

მტკიცებულება/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია

- აკადემიური პერსონალი პირადი საქმეები, ტრენინგები, სერთიფიკატები
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები.
- ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის კითხვარები
- ხარისხის დეპარტამენტის კვლევა (პერსონალის, სტუდენტების)
- პერსონალის მუშაობის შესწავლის ანალიზი
- კურსდამთვრებულთა გამოკითხვის შედეგები
- პროგრამის გარე შეფასება
- თვითშეფასების ანგარიში
- ჩატარებული გასაუბრების შედეგები

რეკომენდაციები

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის

- არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
5.1 შიდა ხარისხის შეფასება	☒	☐	☐	☐

5.2 ხარისხის გარე უზრუნველყოფა

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის უზრუნველყოფის შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამული აკრედიტაციისთვის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების მომზადების პროცესში უნივერსიტეტი იყენებს გარე შეფასების ინსტრუმენტებს. იგი თანამშრომლობს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან.

გამომდინარე იმ ფაქტიდან, რომ პროგრამა პირობითადაა აკრედიტირებული, პროგრამაზე მომუშავე გუნდი და ჩართული დანაყოფები აქტიურად მუშაობდნენ ადრე გაცემული რეკომენდაციების შესრულებაზე, რაც ხაზგასმით აღინიშნა ვიზიტის დროს.

დოკუმენტებითა და გასაუბრების შედეგებით დადასტურდა, რომ პროგრამის ხელახალი აკრედიტაციისა და გაუმჯობესების სამუშაოების პროცესში აქტიურად იყო გათვალისწინებული გარე შემფასებლების (განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის ექსპერტების) მიერ მასზე ადრე გაცემული რეკომენდაციები.

ასევე წარმოდგენილი იყო გარე შემფასებლის დასკვნა. გარე შემფასებელი არ იყო შეფასებული პროგრამის წარმომადგენელი, არ წარმოადგენდა დაინტერესებულ მხარეს და გააჩნდა შესაბამისი სფეროს კომპეტენციები.

გარე შემფასებელმა აღნიშნა, რომ პროგრამა არის რელევანტური, საინტერესო და წარმოდგენილი კურსები პასუხობს შრომის ბაზრის მოთხოვნებს. თუმცა, უკეთესი იქნებოდა, რომ გარე შეფასებებს გამოევლინათ მეტი გამორჩენილი და გასაუმჯობესებელი კომპონენტი. უკუკავშირი უნდა იყოს უფრო დეტალური, სიღრმისეული და გვაძლევდეს ნათელ სურათს. დოკუმენტში უნდა იყოს მოცემული არა მხოლოდ პროგრამის აღწერა, არამედ ის თუ პროგრამის რომელი ნაწილი უნდა შეიცვალოს, რა არის პროგრამის გაუმჯობესების ასპექტი და როგორ უნდა მოხდეს ეს. დეტალური გარე შეფასება ძალიან სასარგებლო იქნება პროგრამის გაუმჯობესებისათვის.

მტკიცებულება/ინდიკატორები

- წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა
- აკრედიტაციის ექსპერტთა წინა ჯგუფი
- გარე კოლეგიალური მიმოხილვა
- თვითშეფასების ანგარიში
- ჩატარებული ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
5.2. გარე ხარისხის შეფასება	☒	☐	☐	☐

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული გადახედვა

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული პირების ჩართულობით, ინფორმაციის სისტემატური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის გზით.

პროგრამის მონიტორინგის, პერიოდული შეფასებისა და პროგრამის ხარისხის გაუმჯობესების მიზნიდან გამომდინარე, გამოიყენება სხვადასხვა ინსტრუმენტები - გამოკითხვა, სტატისტიკური მონაცემების შეგროვება და ანალიზი, შიდა კოლეგიალური შეფასება, პროგრამის შედარება ანალოგებთან.

უნივერსიტეტს გააჩნია წინასწარ შემუშავებული და დამტკიცებული კითხვარები, რომლებიც საშუალებას აძლევს სტუდენტებს სრულიად ანონიმურად გამოხატონ თავიანთი აზრი სასწავლო პროცესის, საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსის, ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ.

უნივერსიტეტში დანერგილია კითხვარების დამუშავებისა და შედეგების განხილვის მეთოდოლოგია. კითხვარის დამუშავების მეთოდოლოგია ითვალისწინებს წინასწარ მომზადებულ კითხვებზე პასუხების სტატისტიკურ დამუშავებას, შედეგების ანალიზს, საჭიროების შემთხვევაში მონაცემების დაზუსტებას (რესპონდენტთან შეხვედრები, დამატებითი ინტერვიუ/გამოკითხვა), რეკომენდაციების შემუშავებას, შესაბამისი სამსახურის ან/და. პერსონალის ინფორმირებას და რეაგირებას გამოხმაურებაზე. PDCA ციკლის უწყვეტობისათვის, რეკომენდებული საკითხების განხორციელება კვლავ გადის მონიტორინსა მანამ, სანამ პრობლემა ან საკითხი საბოლოოდ არ მოგვარდება.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ წინა ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაკეთდა რეკომენდაციები, რომლებიც ეხებოდა პროგრამის შემუშავების პროცესში განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობას, ასევე მონიტორინგის ღონისძიებების გაძლიერებას სასწავლო კურსების გაუმჯობესების მიმართულებით, სასწავლო პროცესის განვითარებას, საწარმოო პრაქტიკის დანერგვას, პროგრამის ინტერნაციონალიზაციას, პრაქტიკული კომპონენტის გაზრდას და სხვა ხარვეზების აღმოფხვრას.

უნივერსიტეტმა გაითვალისწინა საბჭოს მიერ შემუშავებული რეკომენდაციები და აქტიურად იმუშავა ამ მიმართულებით. როგორც წარმოდგენილი დოკუმენტებიდან, ისე ჩატარებული ინტერვიუებიდან გამოიკვეთა საჯარო ადმინისტრირების პროგრამის მოდიფიკაციის პროცესში განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობა.

აშკარა იყო ადრე არსებულ გასაუმჯობესებელ სფეროებზე მუშაობა, რაც მოიცავდა კურსების შინაარსში გადაფარვების აღმოფხვრას, სწავლის შედეგების გასწორერებას, სასწავლო რესურსების რაოდენობის გაზრდას და ა.შ.

მტკიცებულება/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები.
- ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის კითხვარები
- ხარისხის დეპარტამენტის კვლევა (პერსონალის, სტუდენტების)
- პერსონალის მუშაობის შესწავლის ანალიზი
- თვითშეფასების ანგარიში
- ჩატარებული გასაუბრების შედეგები
- პროგრამის გარე შეფასება

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის

- არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული მიმოხილვა	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობანი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ შეესაბამება მოთხოვნებს	☐

თანდართული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში) --

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, დონე: საჯარო მმართველობის საბაკალავრო აკადემიური პროგრამა

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

შეფასება / სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1. საგანმანათლებლო პროგრამების მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან	☒	☐	☐	☐
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის დაუფლების შეფასების ადეკვატურობა	☒	☐	☐	☐
3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	☒	☐	☐	☐
4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა	☒	☐	☐	☐
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობანი	☒	☐	☐	☐

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

პროფ. დოქტორი შტეფან ჰანდკე	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები

ნინო ფარსადანიშვილი	
ნინო დავითაშვილი	
ნინო პატარაია	
ლიანა ზაგაშვილი	